საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №137/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 17 ნოემბრის №137 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 24 დეკემბრის №137/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. -- -- განცხადებით, მოსამართლე -- -- არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქმის განხილვის ვადას, კერძოდ:

1.1.1. მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების 10 დღიანი ვადა, რითაც საქმე შეგნებულად გააჭიანურა;

1.1.2. მოსამართლემ დაარღვია სააპელაციო საჩივრების გადაგზავნისათვის დადგენილი 3 დღიანი ვადა;

1.1.3. მოსამართლემ სხდომა დანიშნა განჩინებით განსაზღვრული ხუთ თვიანი ვადის ბოლო დღეს და ამ სხდომაზეც გამოცხადდა დაგვიანებით, რის მიზეზადაც დაასახელა კოლეგიის შემადგენლობის ვერ შეკრება. აღნიშნულის შემდეგ სხდომა კიდევ 2 თვით გადაიდო;

1.1.4. არაუფლებამოსილი პირის თაობაზე სხდომაზე დაყენებული მისი 22.01.2020 წლის შუამდგომლობა მოსამართლემ განიხილა ნახევარი წლის შემდგომ 28.07.2020-ში; მისი შუამდგომლობა მხარეებს მოსამართლემ გადასცა ნახევარი წლის შემდგომ, რაც ასევე გამოყენებული იქნა საქმის განხილვის გადასადებად;

1.1.5. საქმის გაჭიანურების მიზნით 20.06.2019 წლის განჩინება ადრესატს, -- -- შეგნებულად ერთი კვირის დაგვიანებით სხვა მისამართზე გაუგზავნა. მოსამართლე -- -- 21.07.2020 წლის სხდომის დანიშვნის შესახებ შეტყობინება -- -- არ გაუგზავნა;

1.1.6. მოსამართლემ საქმის გაჭიანურების მიზნით განჩინებაში არ განსაზღვრა საქმის ზეპირი განხილვის ვადა. მოსამართლემ გადადო სხდომა ისე, რომ არ გააცნო ახალი სხდომის თარიღი, რის თაობაზეც მან მიმართა სასამართლოს შესაბამისი განცხადებით 20.10.2020-ში, მაგრამ დღემდე არ მიუღია პასუხი;

1.1.7. საქმის წარმოებაში მიღებიდან გასულია 20 თვეზე მეტი და მოსამართლეს საბოლოო გადაწყვეტილება საქმეზე ამ დრომდე არ მიუღია;

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ანხორციელებდა პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით. ამასთან, იჩენდა აშკარა მიკერძოებას, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2.1. მოსამართლე -- -- თავისი განჩინებით -- -- წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი სავალდებულო დოკუმენტის გარეშე წარმოებაში მიიღო -- -- სააპელაციო საჩივარი, რომელიც საქმეში მხარეს არ წარმოადგენდა; მოსამართლემ მიიღო მინდობილობა, რომელიც ქსეროასლია და არ არის სათანადოდ დამოწმებული. წარმომადგენლობაზე სავალდებულო მინდობილობის არ არსებობის დამალვის მიზნით მოსამართლემ 26.11.2019, 23.02.2020, 21.07.2020, 28.08.2020 და 22.09.2020 წლების სხდომის ოქმებში ჩაწერა ტყუილი კერძოდ:

- 26.11.2019, 23.02.2020, 21.07.2020, 28.08.2020 ოქმებში მიუთითა თითქოს აპელანტი არის -- --;
- 22.09.2020 წლის ოქმში კი თითქოს -- -- არის -- -- წარმომადგენელი;
- 21.07.2020 წლის სხდომაზე შეტყობინება გაეგზავნა -- --, რომელსაც ვადა ჰქონდა გასული მინდობილობაზე, რომელიც მასზე გაცემული ჰქონდა -- --. შედეგად მოსამართლემ ჯერ ოქმში მიუთითა ტყუილი თითქოს განხილვას ესწრებოდა აღნიშნული პირის მინდობილი -- --, ხოლო შემდგომ მესამე პირის გამოუცხადებლობის საბაბით გადადო საქმის განხილვა.

1.2.3. მოსამართლემ კანონის დარღვევაზე რეაგირება არ მოახდინა, ვინაიდან -- -- 19.08.2020 წელს სასამართლოს წარმოუდგინა პირადი ხასიათის წერილი მხოლოდ ერთ ეგზემპლარად, მაშინ როდესაც მას კანონი ავალდებულებს მასალების იმდენ ასლად წარმოდგენას, რამდენი მონაწილე მხარეც არის საქმეში.

1.2.4. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლემ არ დაასაბუთა რატომ განეკუთნება აღნიშნული საქმე განსაკუთრებულად რთულ კადეგორიას, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საროცესო კოდექსის 285-ე მუხლის დათქმა. ასევე მისი განმარტებით, მოსამართლე -- -- განჩინების სამოტივაციო ნაწილში სრულიად დაუსაბუთებლად და მექანიკურად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი, რითაც თავის განჩინებაში საქმის განხილვის ვადა გააგრძელა 5 თვით.

1.3. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლეს ამ საქმეში გააჩნია კორუფციული ინტერესი (თუმცა არ არის დაკონკრეტებული თუ რაში გამოიხატა მოსამართლის ინტერესი).

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლეს სხდომები მიჰყავს არათანმიმდევრულად და ქაოტურად.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- და -- -- 2017 წლის 6 აპრილს სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს -- -- და მოითხოვეს:

- -- -- წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე -- -- 2017 წლის 10 მარტის №-- ბრძანების ბათილად ცნობა;
- -- -- წარმომადგენლის განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე -- -- 2017 წლის 4 მაისის №-- ბრძანებისა და მასზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე უმოქმედობით ნათქვამი უარის ბათილად ცნობა;
- -- -- და -- -- ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის გადადების თაობაზე -- -- 2017 წლის 3 ოქტომბრის №-- ბრძანების ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს -- -- 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი -- მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 მარტის №--

ბრძანება. ბათილად იქნა ცნობილი -- -- 2017 წლის 4 მაისის №-- გადაწყვეტილება. ბათილად იქნა ცნობილი -- -- 2017 წლის 3 ოქტომბრის №-- ბრძანება.

-- -- სასამართლოს -- -- 2019 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა -- -- და -- -- წარმომადგენლებმა და მოითხოვეს სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2019 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით -- სააპელაციო სასამართლომ განსახილველად მიიღო -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი.

2.2. არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- 2019 წელს განსახილველად ჰქონდა ადმინისტრაციული სამართლის 459 საქმე, საიდანაც განიხილა 318 საქმე, რაც 69%-ს შეადგენს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 24 დეკემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 17 ნოემბრის №137 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში განსაზღვრულია, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი ბრალის ფორმების, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ქვეშ. ამდენად, აღნიშნული წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი ადგენს ასევე დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სხვა გარემოებები.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა" ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.[1]

სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[2]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება[3].

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN№-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[4]

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.[5]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას" (Dobbertin v. France, §44).

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №2/5/879, 2019 წლის 14 ნოემბერი, II 2 (5)
[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II 7
[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19
[4] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2
[5] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[6]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

[6] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებით.

საჩივრის ავტორის მოთხოვნების შესაბამისად მოძიებულია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ:

1) საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების 10 დღიანი ვადა, რითაც საქმე შეგნებულად გააჭიანურა - აღნიშნულთან მიართებით მნიშნელოვანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელის თანახმადაც სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

   დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარი მოსამართლე -- -- ჩაბარდა 2019 წლის 4 ივნისს, ხოლო განჩინება განსახილველად მიღების შესახებ თარიღდება 2019 წლის 20 ივნისით, რითაც მოსამართლემ 6 დღით დაარღვია კანონის მოთხოვნა.

2) საჩივრის ავტორის აზრით მოსამართლემ დაარღვია სააპელაციო საჩივრების გადაგზავნისათვის დადგენილი 3 დღიანი ვადა - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 376-ე მუხლის თანახმად, სასამართლო განჩინებით გან-საზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში.

   საქნის მასალების შესწავლის შედეგად არ დგინდება საჩივრის ავტორის მიერ მოყვანილი ფაქტები, ვინაიდან მას 2019 წლის 27 ივნისს მოთხოვნის საფუძველზე გაეგზავნა 2019 წლის 12 და 20 ივნისის განჩინებები.

3) საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ სხდომა დანიშნა განჩინებით განსაზღვრული ხუთ თვიანი ვადის ბოლო დღეს და ამ სხდომაზეც გამოცხადდა დაგვიანებით, რის მიზეზადაც დაასახელა კოლეგიის შემადგენლობის ვერ შეკრება. აღნიშნულის შემდეგ სხდომა კიდევ 2 თვით გადაიდო.

   დადგენილია, რომ მოსამართლემ სხდომა მართლაც 26 წუთიანი დაგვიანებით დაიწყო, კერძოდ ნაცვლად 11 საათისა სხდომა გაიხსნა 11:26:27 საათზე.

   საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში.

   დისციპლინური გადაცდომის კუთხით მოსამართლის ქმედების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსამართლემ საქმის განხილვა დაასრულა 15 თვეში. ამდენად, სახეზე გვაქვს საქმის განხილვის კანონმდებლობით დადგენილი საერთო ვადის დარღვევა.

4) საჩივრის ავტორის განმარტებით, არაუფლებამოსილი პირის თაობაზე სხდომაზე დაყენებული მისი 22.01.2020 წლის შუამდგომლობა მოსამართლემ განიხილა ნახევარი წლის შემდგომ 28.07.2020-ში; მისი შუამდგომლობა მხარეებს მოსამართლემ გადასცა ნახევარი წლის შემდგომ, რაც ასევე მოსამართლის მხრიდან გამოყენებული იქნა საქმის განხილვის გადასადებად.

   აღნიშნულთან მნიშვნელოვანია, რომ შუამდგომლობის განხილვის კონკრეტულ ვადას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მართალია ყველა სახის შუამდგომლობა გონივრულ ვადაში უნდა იყოს განხილული, თუმცა უნდა ითქვას, რომ 22.01.2020 წლის შუამდგომლობით საჩივრის ავტორი ითხოვდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას (-- -- ნაწილში), რაც თავისთავად არსებითად განსახილველ სადაო საკითხს წარმოადგენდა.

5) რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას იმ ფაქტზე, რომ უწყება სხდომის ჩატარების შესახებ არ ჩაბარებია მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ

   როგორც საქმის მასალებით დასტურდება, 21.07.2020 წლის სხდომის დანიშვნის შესახებ 29.06.2020 წელს სატელეფონო საშუალებით ეცნობა -- -- წარმომადგენელს , რის შესახებაც საქმეში არსებობს შესაბამისი დაბარების აქტი.

6) საჩივრი ავტორი თვლის, რომ მოსამართლემ საქმის გაჭიანურების მიზნით განჩინებაში არ განსაზღვრა საქმის ზეპირი განხილვის ვადა. მოსამართლემ გადადო სხდომა ისე, რომ არ გააცნო ახალი სხდომის თარიღი, რის თაობაზეც მან მიმართა სასამართლოს შესაბამისი განცხადებით 20.10.2020-ში, მაგრამ დღემდე არ მიუღია პასუხი.

   სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლო იღებს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს დადგენილ ვადაში.

   მართალია მოსამართლემ 2019 წლის 12 ივნისის განჩინებით არ დანიშნა სხდომის თარიღი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამით მხარის უფლებები არსებითად არ დარღვეულა და აღნიშნულ გარემოებას საქმის განხილვის ვადის გაჭიანურება არ გამოუწვევია.

7) დადგენილია, რომ სარჩელი წარმოებაში იქნება მიღებული 2019 წლის 12 ივნისს. სარჩელის წარმოებაში მიღებიდან დასკვნის მომზადებამდე საქმე -- სააპელაციო სასამართლოში იმყოფებოდა 18 თვის ვადით. შესაბამისად საქმის განხილვა გაჭიანურდა 13 თვის ვადით.

   ამდენად, იმის დასადგენად არასაპატიო მიზეზით არსებითად დაარღვია თუ არა მოსამართლემ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადა, აუცილებელია გავითვალისწინოთ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, ყურადსაღებია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საქმის განხილვის გონივრულობის შეფასების კრიტერიუმები.

   საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გაითვალისწინოთ კონკრეტულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი საქმის განხილვის გონივრულობის შეფასების

კრიტერიუმებზე. საბჭოს წევრებმა ყურადღება გაამახვილეს მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლესა და სტატისტიკურ მონაცემებზე. ამასთან, საკითხის შეფასების დროს იმსჯელეს საპროცესო ვადის დარღვევის არსებითობასა და არასაპატიო/საპატიო მიზეზით დარღვევის შესაძლებლობებზე.

აქვე, უნდა აღინიშნოს 2020 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გამოაცხადა პანდემიად, მისი მასობრივი გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრეზიდენტის მიერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და პრეზიდენტის მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოიცა დეკრეტი (აღნიშნული დამტკიცდა პარლამენტის დადგენილებით 2020 წლის 21 მარტს). 2020 წლის 21 აპრილს პრეზიდენტის №2 ბრძანებით გაგრძელდა საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის ჩათვლით. ამას წინ უძღოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1 რეკომენდაცია „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც აწესებდა ახალ რეგულაციებს სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მოსამართლეთა მიერ მათ წარმოებაში არსებული საქმეთა განხილვის გადადებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა გათვალისწინებით მოსამართლის მხრიდან საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევის ნიშნები არ იკვეთება.

4.2. მოსამართლემ -- -- წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი სავალდებულო დოკუმენტის გარეშე წარმოებაში მიიღო -- -- სააპელაციო საჩივარი, რომელიც საქმეში მხარეს არ წარმოადგენდა; მოსამართლემ მიიღო მინდობილობა, რომელიც ქსეროასლია და არ არის სათანადოდ დამოწმებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარე სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტია, სასამართლოში მას წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი ან ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობის უფლება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ორგანო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში თავის წარმომადგენლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშნოს ის თანამდებობის პირი ან საჯარო მოხელე, რომელიც ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მსახურობს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო წარმომადგენლობა – ესაა პირის კანონით გარანტირებული შესაძლებლობა აწარმოოს საქმე სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო წარმომადგენელი არის პირი, რომელიც ასრულებს სასამართლოში მარწმუნებლის სახელით და მისი

ინტერესების შესაბამისად ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით.[7]

-- სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში აღნიშნავს, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზაცია თავის მხრივ დაკავშირებულია მთელი რიგი საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებასთან, რომლებიც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით. სასამართლო მიუთითებს, რომ როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განხორცილება პირს შეუძლია დამოუკიდებლად. თუმცა, ამ უფლებების ეფექტურად რეალიზაციისათვის, შესაძლებელია ასევე სათანადო ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირისათვის - წარმომადგენლისათვის მათი მინდობა. ამასთან, მარწმუნებლის საჭიროებიდან და სამართლებრივი ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმომადგენელს შეიძლება მიენიჭოს ამა თუ იმ მატერიალურ-სამართლებრივი ან საპროცესო სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების ან ორივე მათგანის განხორციელების უფლებამოსილება.[8]

მოცემულ შემთხვევაში მნიშნელოვანია, რომ მოსამართლემ სასამართლოს სხდომაზე იმსჯელა წარმომადგენლობის საკითხზე, შეამოწმა მხარის წარმომადგენლობინთი უფლებამოსილება და მიიჩნია, რომ -- -- უფლებამოსილი იყო მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილია -- -- მიერ გაცემული შესაბამისი მინდობილობა -- --. შესაბამისად საჩივრის ავტორი მიერ წარმოდგენილი მოსაზრება არ შეესაბამება დადგენილ ფაქტებს.

ამასთან, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემოწმების ნაწილში შესაძლოა არსებობდეს შეუსაბამობა საპროცესო კანონმდებლობასთან, თუმცა აღნიშნული საკითხი თავისი არსით არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომას და არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ორგანული კანონით გათვალისწინებულ რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახეს.

4.3. -- -- განმარტებით, მოსამართლემ კანონის დარღვევაზე რეაგირება არ მოახდინა, -- -- 19.08.2020 წელს სასამართლოს წარმოუდგინა პირადი ხასიათის წერილი მხოლოდ ერთ ეგზემპლარად, მაშინ როდესაც მას კანონი ავალდებულებს მასალების იმდენ ასლად წარმოდგენას, რამდენი მონაწილე მხარეც არის საქმეში.

საქმეში არსებული მასალებით არ დგინდება მიდობილობის ასლების მხარეთათვის გადაცემის ფაქტი, თუმცა უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი თავისი არსით არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომას და არ შეესაბამება ზემოაღნიშნული ორგანული კანონით გათვალისწინებულ რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახეს.

4.4. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლემ არ დაასაბუთა რატომ განეკუთნება აღნიშნული საქმე განსაკუთრებულად რთულ კადეგორიას, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საროცესო კოდექსის 285-ე მუხლის დათქმა. ასევე მისი განმარტებით, მოსამართლე -- -- განჩინების სამოტივაციო ნაწილში სრულიად დაუსაბუთებლად და მექანიკურად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი, რითაც თავის განჩინებაში საქმის განხილვის ვადა გააგრძელა 5 თვით.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვის ვადებს განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო

[7] სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თ. ლილუაშვილი, მეორე გამოცემა, თბ. 2015, გვ. 119
[8] http://library.court.ge/judgements/772015-09-08.pdf გვ. 5

სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა. ამავე კოდექსის 285-ე მუხლი კი განსაზღვრავს განჩინების შემადგენელ ნაწილებსა და ყურადღებას ამახვილებს იმ შინაარსზე, რასაც განჩინება უნდა შეიცავდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2029 წლის 12 ივნისის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში; საქმის განხილვა გაგრძელდა 5 თვემდე ვადით. აღნიშნული განჩინება შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით დადგენილ ფორმალურ წინაპირობებს, რაც შეეხება მის დასაბუთებას, მოსამართლემ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლსა და იმ სამართლებრივ ნორმებზე, რომელთა საფუძველზეც მიიღო საპროცესო ვადის გაგრძელების გადაწყვეტილება.

4.5. რაც შეეხება საჩივრის ავტორი მოსაზრებას მოსამართლეს შესაძლო კორუფციული ინტერესის შესახებ, აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ვერ იქნა მოძიებული, ხოლო საქმის გარემოებები და არსებული მასალებით კორუფციული სამართალდარღვევის ნიშნები არ იკვეთება.

4.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლეს სხდომები მიჰყავს არათანმიმდევრულად და ქაოტურად.

დადგენილია, რომ სხდომები გაიმართა 2019 წლის 26 ნოემბერს, 2020 წლის 24 თებერვალს, 2020 წლის 21 ივლისს, 2020 წლის 28 ივლისს და 2020 წლის 22 სექტემბერს. სხდომების მსვლელობის დროს მოსამართლე -- -- მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის დისციპლინურ გადაცდომას, რომლითაც შელახავდა მხარეთა ინტერესებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №137/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი